ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი N9

ქ. თბილისი, 08 აპრილი, 2026 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს უხუცესმა წევრმა, ასოცირებულმა პროფესორმა ნუგზარ პაიჭაძემ.
ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი.
სხდომას ესწრებოდა ხმის უფლების მქონე 39 წევრი.

დღის წესრიგი:

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2026 წლის 08 აპრილს გაიმართა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.
ფაკულტეტის დებულების თანახმად სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს უხუცესმა წევრმა, ასოცირებულმა პროფესორმა ნუგზარ პაიჭაძემ.
სხდომის თავმჯდომარედ ასოცირებულმა პროფესორმა ნუგზარ პაიჭაძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა აკადემიკოს ავთანდილ სილაგაძის კანდიდატურა. სსვა კანდიდატურა არ დასახელებულა.
სხდომის თავმჯდომარედ ღია კენჭისყრით არჩეულ იქნა აკადემიკოს ავთანდილ სილაგაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი.

ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 39
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2026 წლის 08 აპრილის №9 სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევის საკითხი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევის საკითხი.

აკადემიკოსმა ავთანდილ სილაგაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურები თსუ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 დეკემბრის #135/2013 დადგენილების შესაბამისად, მან აღნიშნა, რომ საარჩევნო პროცესი დაიწყება 12:00 საათიდან 15:00 საათამდე. საარჩევნო სიაში შედის ფაკულტეტის საბჭოს ყველა წევრი. საარჩევნო სიაში მოცემულია ფაკულტეტის საბჭოს წევრის სახელი და გვარი. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო კომისიის წევრები ფაკულტეტის საბჭოს თანდასწრებით ითვლიან ცარიელ ბიულეტენებს. ბიულეტენების რაოდენობა უნდა უტოლდებოდეს ფაკულტეტის საბჭოს წევრების რაოდენობას, რომელსაც ემატება ათი სარეზერვო ბიულეტენი. სარეზერვო ბიულეტენები გამოიყენება გამოუყენებელი ბიულეტენის დაზიანების შემთხვევაში. დაიბეჭდა 49 ბიულეტენი, აქედან 39 ბიულეტენი საბჭოს წევრების და 10 ათი სარეზერვო ბიულეტენი.

საბჭოს წევრებს პრეტენზია არ გამოუთქვია პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით.

აკადემიკოსმა ავთანდილ სილაგაძემ საბჭოს წევრებს მიმართა, რომ დეკანის არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელია საარჩევნო კომისიის არჩევა. დაასახელეს საარჩევნო კომისიის წევრებად: პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, ასოცირებული პროფესორი ლია თოთლაძე და სტუდენტი სამხარაძე ნიკა. საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს ხმის დამთვლელი კომისია. თსუ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 დეკემბრის #135/2013 დადგენილების შესაბამისად, წარიმართა არჩევნების პროცედურა. 15 საათზე გაიხსნა საარჩევნო ყუთი. ხმის დამთვლელი კომისიის წევრებმა საბჭოს წევრების თანდასწრებით დათვალეს საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენები. ყუთში აღმოჩნდა 39 ბიულეტენი.

პროფესორი ლევან საბაური - 12 (თორმეტი) ხმა

ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია - 26 (ოცდაექვსი) ხმა

ერთი ბიულეტენი ბათილად იქნა ცნობილი.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს კონკურსის შედეგები.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 39

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია.

სხდომის თავმჯდომარე, აკადემიკოსი: ა. სილაგაძე

საბჭოს მდივანი, ასოცირებული პროფესორი: ლ. თოთლაძე